№ 8

შაბათი, 25 იანვარი 1897 წ.

1877 — 1897

# ივერია

№ 8

შაბათი, 25 იანვარი 1897 წ.



**ბაზეთი ღირს:**

| თვ. | მან. | კ. | თვ. | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომ —ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.



რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
**გაზეთის დასაბარებლად**
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კით. გ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.
**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ, მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.


**ყოვლად სამღვდელო გაბრიელ ეპისკოპოზის**

მიცვალების წლის თავზედ, კვირას, 26 იანვარს, გარდახდილ იქმნება პანაშვიდი ქაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში ნაშუადღევის 2 საათზედ.

(3.—მ.—2)

## „ივერია“
### გამოვა 1897 წელს
იმავე პროგრამმით, როგორც წინად.

ფასი გაზეთისა:

| | მ. | კ. | | მ. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 11 თვით და 13 დღით | 9 | 60 | 6 „ | 6 | „ |
| 11 „ | 9 | 50 | 5 „ | 5 | 50 |
| 10 „ | 8 | 75 | 4 „ | 4 | 75 |
| 9 „ | 8 | „ | 3 „ | 3 | 50 |
| 8 „ | 7 | 25 | 2 „ | 2 | 75 |
| 7 „ | 6 | 50 | 1 „ | 1 | 50 |

საზღვარ-გარეთ დაბარებული 1898 წლის 1 იანვრამდე ეღირება 17 მ.

ტფილისს გარეთ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Тифлисъ. Редакція „Иверіа“.

ტფილისში ხელის მოწერა მიიღება „ივერიის“ რედაქციაში, ნიკოლოოზის ქუჩა, № 21 ღ „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების“ კანცელარიაში, სასახლის ქუჩა, ქართვ. თავად-აზნაურთა ქარვასლაში.

თუ ტფილისში დაბარებული გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმემ უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; ხოლო თუ ქალაქის გარეთიდამ სხვა ადგილს გადავიდა სადმე ქალაქს გარედ—ორი აბაზი.

თუ თვის განმავლობაში დაიბარა ვინმე გაზეთი არა მთელის წლით, მას გაეგზავნება გაზეთი პირველ იმ თვიდამ, რომელსაც დამბარებელი აღნიშნავს.

### 1896 წლის ხელის-მომწერთა საყურადღებოდ.

ვისაც გაზეთი დაბარებული ჰქონდა 1896 წელს მთელის წლით, თუ ჰსურთ 1898 წლის პირველ იანვრამდე მიიღონ გაზეთი, უნდა წარმოადგინონ ოთხის თვის ფასი—3 მან. და 33 კაპ. (კაპეიკების მაგიერ შეიძლება ფოსტის მარკები გამოიგზავნოს). ხოლო ვისაც არა ჰსურს, იმას მიუვა გაზეთი შვიდის თვისა და ცამეტის დღის განმავლობაში 17 იანვრიდამ.

ვისაც 1896 წელში დაბარებული ჰქონდა გაზეთი რამდენისამე თვით იმათ შეუსრულდებათ დანაკლისი ნომრები 17 იანვრიდამ.

ქართული თეატრი.

**ბენეფისი**

გნ. ზ. ავალიშვილისა.

ოთხშაბათს, 29 იანვარს.

პირველად ახალი პიესა

ქართულის დრამატიულის საზოგადოების დასის მიერ ავალიშვილისა, ალექსი-მესხიშვილისა, ყიფიანისა და აბაშიძის მონაწილეობით

წარმოდგენილი იქნება:

I

**ბოშა ქალი ზანდა**

დრ. 4 მოქ. 5 სურ., თარგმ. გალუსტოვისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი ავალიშვილისა, ჩერჩეზიშვილისა, გამყრელიძისა, კარგარელი, ივანიძე და სხვ. ბ-ნნი. ალექსი-მესხიშვილი, აბაშიძე, ყიფიანი, სვიმონიძე, გედევანოვი, გამყრელიძე, მარჯანიშვილი, შათირიშვილი, კანდელაკი, ადამიძე კარბელი, საფაროვი, აბრამოვი, გვარამაძე და სხ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია

დასაწყისი 8 საათზედ

რეჟისორი ვლ. ალექსი-მესხიშვილი.

ადმინისტრ. კ. შათირიშვილი

# ახალი ამბავი

—

*** ახალციხიდან დეპეშით ფრიად სამწუხარო ამბავს გვატყობინებენ: გუშინ, 24 იანვარს, იქგარდაცვლილა ჩვენი ახალგაზდა დრამატურგი იაკობ ლაზარაშვილი, ავტორი ყველასაგან ცნობილის პიესის ,,მტარვალისა''.

*** ამ დღეებში ტფილისში ჩამოვიდა ტომსკის უნივერსიტეტში კურს-დამთავრებული ექიმი ბ-ნი სპირიდონ ვისალაძე, რომელიც კავკასიის საექიმო უწყების უფროსმა ბ-ნ გლავაცკიმ—დაღისტანში კიურინის ოლქის ექიმად დანიშნა. ბ-ნ ვისილაძის მეტს ჯერ ქართველთაგან არავის დაუსრულებია ტომსკის უნივერსიტეტი. როგორც მან გვაუწყა, ხსენებულს უნივერსიტეტში ამ ჟამად სამი ქართველი სწავლობს, რომელთაგან ერთი წელს შემოდგომაზე დაამთავრებს სწავლას, ხოლო ორი სტუდენტი ხარკოვის უნივერსიტეტში გადმოსულა და ორიც კიევისაში. ტომსკში სტუდენტებს გარდა, ორმოც კაცამდის გადასახლებული ქართველობა ყოფილა. ძლიერ უჭირს თურმე ჩვენს ხალხს ტომსკის ჰავის ატანა; მომეტებულათ ნერვებით და ფილტვების ანთებით ჰხდებიან ავად. ბ-ნ ვისალაძის სიტყვით, ტომსკის უნივერსიტეტში იურიდიული ფაკულტეტიც გაიმართება ამა წლის შემოდგომაზედ. გარდა ამისა ტეხნოლოგიური ინსიტუტისათვის შენობას აგებენ და ახლო მომავალში მზად იქნებაო.

*** მთის ოსები, კავკავის მაზრა. აქეთ ზამთარი ძრიელ წყნარად მიდის. თოვლი გიორგობის თვის გასულს რაც მოვიდა, მას აქეთ აღარ მოსულა. აქეთ სხვა-და-სხვა ნაირი ავადმყოფობა გახშირდა: ტანში აჟრჟოლებს ადამიანს, საშინლად თვალები სტკივა, ახველებს და წელის ტკივილსაც გრძნობს. ამგვარი ავადმყოფობა ცხრა დღემდის გასტანს ხოლმე და თუ კარგად მოუარეს ავადმყოფს, ჩქარა რჩება. სოფ. თმენიყავში ამ სენმა თორმეტ სულამდეადამიანი იმსხვერპლა. ამას წინად მაზრის ექიმი მოვიდა და ხალხს დარიგება და საჭირო წამლები მისცა.

*** გაზ. „ტფ. ლისტ.“ პეტერბურგიდგან ატყობინებენ, რომ 20 იანვარს კავკასიის მთავარ-მართებელი თავ. გ. ს. გალიცინი ხელმწიფე იმპერატორმა ინახულაო. იმავე გაზეთის სიტყვით თავ. გალიცინი 20 თებერვლამდის დაჰყოფს პეტერბურგს.

*** წარსულ წელს ყარაიაში ურიცხვი მინდვრის თაგვი გაჩნდა, რომელთანაც ბრძოლა გლეხებისათვის შეუძლებელი იყო. თაგვებმა მომეტებულად დასათესად დახნული მინდვრები წაახდინეს. ეს მინდვრები გლეხებმა დაუთესელი დასტოვეს იმ იმედით, რომ იქნება თაგვები სხვაგან გადავიდნენო. გლეხების ბედზე ამ უკანასკნელ ხანებში იქ რაღაც გაჩენილა და მუსრს ავლებს ნათესის შეუბრალებელ მტერს თაგვებს.

*** 22 იანვარს ძველი თეატრის მახლობლად, მტკვარში იპოვნეს გორის მაზრის ს. ხოვლეს მცხოვრები გიგო ჯანაშვილის გვამი. გამოძიებამ აღმოაჩინა, რომ ჯანაშვილი კლდიდგან გადავარდნილა მტკვარში. დამხრჩვალი მიხეილის საავადმყოფოში გაგზავნეს.

*** გაზ. ,,ს.-პეტერ. ვედ.''. სიტყვით, სამიწად მოქმედო სამინისტრო ამ ჟამად სინჯავს განსაკუთრებულს წესებს, რომელნიც შედგენილია იმ აზრით, რომ გოგჩის ტბაში თევზები არ გამოილიოს სრულიად.

*** დეკ. პ. კონჰოაშვილისათვის, რომელიც აგერ 12 წელია ქართლ-კახეთის საეპარქიო სასწავლებელთა საბჭოს წევრად ირიცხება და კავკასიის ქალთა ინსტიტუტის სალმრთოსჯულის მასწავლებლად არის, უუწმიდესს სინოდს მადლობა გამოუცხადებია გულმოდგინედ მოღვაწეობისათვის და ძვირფას ყდაში გაკეთებული სლავიანურს ენაზედ „დაბადება“ უბოძებია საჩუქრად.

*** ბაქოს ნავთის მწარმოებელთა წარმომადგენელი პეტერბურგში, გაზ. „კასპის“ სიტყვით, იტყობინება, რომ ნავთის გადატანის ახალი გარდასახადი პირველ მაისიდგან იქმნება შემოღებულიო.

*** სახელმწიფო ქონებათა დეპარტამენტი სხვა-და-სხვა ღონისძიებას ჰსინჯავს იმის შესახებ, რომ შავის ზღვის პირა გუბერნიის მართლ-მადიდებელი სამღვდელოება უზრუნველყოფილ იქმნას მამულების მხრივ და რომ საზოგადოდ ეკონომიურად გა-

# ფელეტონი

—

**ეჟვიანები.**

(ესკიზი)

. . . . მთა-წმიდის გორაზედ დანდობილის, ჩამავალის მზის სხივები მიმოფანტულიყვნენ ქალაქში და სახლების სახურავებზე აქა-იქა დაფარფატობდენ... სხვათა შორის ერთი სხივი შეიპარა შაქრო დიდინაძის ოთახში და ერთ-ერთ კუთხეში ოქროს სვეტად აღიმართა.

შინ ამ სხივს მარტო სამი სულიერი დახვდა: შაქრო დიდინაძე, მისი ახალგაზდა ცოლი მაკინე და ერთიც ლაბუა კატა. სიმშვიდე და მყუდროება სუფევდა ღარიბის კაცის ღარიბად მოწყობილს ოთახში.

შაქრო მოსჯდომოდა საწერ სტოლს, გადაეშალა წინ წიგნი და გატაცებით კითხულობდა. მხართეძოზე წამოწოლილი მაკინე, ვით განხორციელებული მშვენიერება, მიბნედილის თვალებით მისჩერებოდა ქმარსა, თითოეულს სიტყვას მარგალიტებივით ჰკრეფდა და, თითქოს შაქროს გადაყლაპვას აპირებსო, ჯეირანივით კისერი მოეღამაზებინა. ხუჭუჭი თმის კულულები გადმოჰფენოდა მაკინეს შუბლზედ და გულ-მკერდი ისე უღელავდა. როგორც დაწყნარებული ზღვა ცელქის ნიავის შემობერვაზედ ფოფინებს ხოლმე.

მაკინეს გვერდით მოკუნტულიყო ცოლ-ქმრის საყვარელი ფისო. თავი წინა ფეხებზე დაენდო და, მეტის სიამოვნებით, საამურად ღრუტუნებდა. დრო-გამოშვებით გადაატრიალებდა ხოლმე ჭროლა თვალებს და კუდს ისე აქიცინებდა, თითქოს ესმის, რომ ეს ორი ადამიანი ბედნიერი უნდა იყოსო. არა!.. ესმოდა, ნამდვილად ესმოდა ლამაზს ხატაურს ცოლ-ქმრის გულის პასუხი!...

— მაკინე, აბა დაუკვირდი ამ აზრს, „სიყვარული ცვალებადიაო“. ნუ-თუ, ჰა? ღიმილით წარმოსთქვა შაქრომ, კითხვა შესწყვიტა და ცოლს სიცოცხლითსავსე თვალები შეანათა. ამ დროს შაქრო დანამულ ვარდის კონას მოაგონებდათ, თვალები წყლით ავსებოდა, კოხტად შემობალდადებული წვერ-ულვაში აბურძგნოდა და გალაღაჟებული, აღდგომის კელაპტარივით, ანთებულიყო... მაკინეს შეხედვამ ხომ დაადნო, თავს ბრუ დაასხა!

— ყველა თავისის შეხედულებისაა და ეგ მქადაგებელიც თავისებურობის წარმომადგენელი იქნება... წარბების შეთამაშებით, ღიმილითვე უპასუხა მაკინემ...

— ჰაი, ჰაი რომ ეგრეა. მე მგონია, რომ ამ ხალხს თავისს დღეში არავინა ჰყვარებია, თორემ ასე ადვილად ვერ გააგულგრილებდნენ თავისს გმირებსა... არა, ვისაც სიყვარული და გარყვნილება ერთმანეთში ჩაუწნავს, ის ვერ წარმოიდგენს, რა ძლიერია ნამდვილი სიყვარული! ენის მოკიდებით სთქვა შაქრომ, წამოიხარა, თვალის დახამხამებაზედ მიიჭრა ცოლთან, მოზიდა და გატაცებით რამდენჯერმე თვალებში ჩაჰკოცნა.

გრძნობად გადაქცეულ ახალგაზდებს მსჯელობის თავი აღარა ჰქონდათ... ასეა ხოლმე ყოველთვის, როდესაც გული აღერდება, გონება მიყუჩდება და ოცნებად გადაქცეული მაღლა, ცაში, დააფრენს ადამიანსა, აშორებს მიწიერებას და ჰაეროვნად ჰხდის. ესეც ერთი ნეტარებათაგანია, ესეც თანაზიარებაა უკვდავებისა, უმანკოებისა! ხელი ხელ გადახვეული ცოლ-ქმარი ერთმანეთს თვალებში ჩასჩერებოდნენ და... სადღა იყო იმათთვის ეს ქვეყანა!.. თითქოს ერთმანეთს სულში ჩაუძვრნენო, თითქოს შესვეს, შეხვრიპეს ერთმანეთის არსება, თითქო სული სულს შეუერთეს და გული გულში გადაადუღესო, იყვნენ უძრავად, მხოლოდ ხან-მოკლე სუნთქვა, წყალმორეული თვალები და მღელვარე მკერდი ჰმოწმობდა მათს მიწიერებასა. ცხვირის ნესტოები მინდვრად გამოჰრილ ირემივით უთამაშებდათ და გრძნობა-მორეულები ერთმანეთს ეზიდებოდნენ... სდუმდა ოთახი, მხოლოდ ფისო სტოლზე გადაშლილ წიგნს ეთამაშებოდა და გარეთგან, ფანჯრის თავზედ, ბეღურები ჰკლოპინებდნენ.

პოეზიით იყო აღსავსე შაქროს სადგომი. ოხვრა და ურვა, შფოთვა და წუხილი შორს, შორს გადაკარგულიყვნენ. ოთახში ჩამომდგარი სხივიც-კი სიამოვნებით შეტორტმანდა, შაქროსა და მაკინეს თვალებში ჩაიხედა, აბა ხომ არა სტყუიან, ერთმანეთს სიკვდილამდის სიყვარულს რომ ეფიცებიანო, ერთხანს კამარაც-კი შეჰკრა ცოლ-ქმრის შუბლით-შუბლ მიყრდნობილ თავებზედ და ელვასავით გამოიჭრა გარეთა.

შაქრო და მაკინე-კი ისევ ნეტარობდნენ. ოხ, როგორის ძრიელებით, როგორის შეერთებულის მეცადინეობა-ერგულებით შეეჭიდებოდნენ ყოველ გვარ ბოროტება-სიღარიბესა, როცა ამ თავ-დავიწყებიდამ გამოვიდოდნენ, რომ კვლავ პირნათლად ჩაჰკონებოდნენ ერთმანეთს და სიხარულისა და ჰარმონიულად შეერთებულის გულის-თქმის გადაჭარბებული ცრემლი დაენთხიათ... რა, რა არის სიღარიბე, რას იზამს ბოროტება, როდესაც ძლევა-მოსილი სიყვარული გამეფებულა!.. მაგრამ...

—

უმჯობესდეს მისი მდგომარეობა. ამასთან იგივე დეპარტამენტი სცდილობს ღონისძიება რამ მოიპოვოს, რომ, როგორც შავის ზღვის პირა გუბერნიაში, ისე სხვაგანაც საზოგადოდ კავკასიაში სახელმწიფო მამულები კერძო კაცებმა არ დაისაკუთრონ.

*** დუშეთი, ჩვენში ამ ბოლოს დროს ავკაცობა და კაცის-კვლა როგორღაც გახშირდა გუშინ სოფ. ბულაჩაურს ახლო თ. გ. ჩიჩუას მოურავმა გვალავამ რევოლვერით მძიმედ დასჭრა ბულაჩაურის მღვდელი მამა ბ. მცხვეთაძე. აი საქმე როგორ ყოფილა: მ. მცხვეთაძე დუშეთიდგან ბულაჩაურს მიდენილა და სოფ. ბულაჩაურის ახლო შეხვედრია გვალავას, რომელთანაც წინადვე უსიამოვნება ჰქონია. ლაპარაკი მოსვლიათ და გვალავას ორ ალაგას დაუჭრია მღ. მცხვეთაძე. რომლის მორჩენა, როგორც ამბობენ, საეჭვოა. უსიამოვნების მიზეზი ის ყოფილა, რომ მღვდელს გვალავასთვის უარი უთქვამს, ქალს ვერ მოგათხოვებო.

—

*** საშინელს და გამოუთქმელს განწირულებაშია ერთი ქართველ აზნაურიშვილის სახლობა. დედა, რომელსაც თავს ახვევია რამდენიმე უსუსური ბავშვი და რომელთაც ინახავდა თავისი ხელით, უკანასკნელს დღეშია: არც წამალია იმათთვის, არც საჭმელი, არც ბინა. ქრისტიანულ კაცთმოყვარე გრძნობა იმედია არ დასტოვებს უყურადღებოდ ამ საცოდავთა და მიაწვდის იმათ რაოდენსამე თვისს წვლილს. ვისაც რამე შესაწირავი ჰსურს, შეუძლიან გამოჰგზავნოს „ივერიის“ რედაქციაში, საიდგანაც მყისვე გაეგზავნება ყოველი შემოწირულება ამ ოჯახს.

## საგანგებო კრება თავად-აზნაურთა.

გუშინდელს „ივერიაში“ დაბეჭდილია თავად-აზნაურთა საგანგებო კრების ანგარიში. მოყვანილია სხვადა სხვა ორატორის სიტყვები და ამ სიტყვებში ისეთი შეცდომებია, რომ არა გვგონია ესიამოვნოთ იმათ, ვისის სახელით არის ნათქვამი. ზოგი სიტყვაც მთლად არ არის მოყვანილი და ზოგიც სულაც არ ჩაურთავს რეპორტიორს, თუმცა საყურადღებონი არიან. იტყვიან, თუ ეგრეა რედაქტორმა რად მისცა ნება, რომ ამისთანა ანგარიში დაიბეჭდაო. საყვედური სამართლიანია, მაგრამ საქმე იმაშია, რომ ეს რედაქტორის უნებურად მოხდა: ანგარიში ისე მიეცათ სტამბაში ასაწყობად, რომ რედაქტორისათვის არ უჩვენებიათ. არც ეს არის შესაწყნარებელი მიზეზი, არც ეს არის საბუთი გამართლებისა, მაგრამ რას იზამთ? ნათქვამი აქვთ რედაქციაში თანამშრომელთ, რომ არავითარი სხვის შესახებ ამბავი არ დაიბეჭდოს რედაქტორის დაუკითხავად, მაინც და მაინც ისე გამოვიდა, რომ ეს ანგარიში დაუკითხავად დაიბეჭდა და რედაქტორი იძულებულია ამისათვის ბოდიში მოიხადოს ჯერ იმათ წინაშე, ვისიც სიტყვებია მოყვანილი შეცდომით, ანუ საკმაოდ არა—სრულად, და მერე მკითხველის წინაშე.

გარდა ამისა რედაქცია მოვალედ ჰხადის თავის თავს იგი ანგარიში ხელ-ახლად წარუდგინოს მკითხველთ საკმაო სავსებით.

კრებაზე შეიყარა ორმოცდა-ათ თავად-აზნაურამდე. მეთორმეტე საათამდე დამსწრენი ხელს აწერდნენ კრების სიას და ეს რომ გათავდა კრება შეუდგა დანიშნულ საქმის განხილვას. კრების დაწყებისათანავე წამოდგა თ. ალ. ირ. ბაგრატიონ-მუხრანსკი და მოახსენა თავმჯდომარეს, რომ თ. ზაქ. ერისთავმა მე მომანდო მის მაგიერ აქ მე ვილაპარაკოო და ყველაფერს, რაც ამ საქმეში თ. ზაქ. ერისთავს შეეხება, პასუხი მე მივცეო. ამ მონდობილობის საბუთად წარუდგინა ბ-ნს გუბერნიის მარშალს წერილი თ. ზაქ. ერისთავისა, რომელიც იქვე წაკითხულ იქმნა.

ვიდრე საქმის განხილვას შეუდგებოდნენ ბ-მა მარშალმა უბძანა წაეკითხათ ერთი ქაღალდი, რომლითაც ბ-ნ მარშალს უთხოვნია ჯერ კიდევ შარშან ნოემბერს თ. ზაქ. ერისთავისათვის საკუთრების ქაღალდი ოძისის მამულზე თავად-აზნაურობის სახელობაზე და თ. ზაქ. ერისთავს პასუხი არ მიუცია. ბ-ნმა მარშალმა სთხოვა ის ამბავი, რომ თვით მიუწერია და პასუხი არ მოსვლია, ხელ-მეორედ წაეკითხათ. წაიკითხეს ხელ-მეორედ.

ამ დროს კრებაზე მყოფმა ბ-მა მორბედაძემ მიჰმართა ბ-ნს მარშალს და მოახსენა, რომ ეგ აგრე არ არისო. მე თვითონ მოგართვით თ. ზაქ. ერისთავის წერილით პასუხი, მაგრამ თქვენ არ ინებეთ, არ მიიღეთ და უკანვე დამიბრუნეთო.

ა. ი. კობიევი: ბ-ნს მორბედაძეს: თქვენ თვითონ მიუტანეთ ეგ პასუხი ბ-ნს მარშალსა?

ბ-ნი მორბედაძე: მე თვითონ.

გუბერნიის მარშალი: იქნება ეგრეც იყო, ხოლო მაგ ამბავს არაფერი მნიშვნელობა არა აქვს. საქმე ის არის, რომ მე ვთხოვე საკუთრების ქაღალდი და დღეს აქამომდე არ არის შემდგარი.

მერე გამოირკვა, თ. ზაქ. ერისთავს პასუხად მოეწერა, რომ მინამ საკუთრების ქაღალდს შევადგენდე, უნდა ვიცოდე, აპირობს თუ არა თავად-აზნაურობა ოძისში სკოლა გამართოს და რა პირობითაო.

შემდეგ კრებამ მოითხოვა წაკითხულ იყოს მოხსენება კამისიისა. საჭირო ცნობანი ამ მოხსენებისა უკვე იყო დაბეჭდილი ივერიაში (№ № 4 და 5) და აქ მეტი იქნება ხელახლად განმეორება.

თ. ალ. მუხრანსკი. მე მგონია ყველაზე უწინარეს ის უნდა გადაწყდეს: თანახმა არის თავად-აზნაურობა მიიღოს ძღვნად თ. ზაქ. ერისთავისაგან ოძისის მამული. ეს რომ გამოირკვევა, მაშინ მოვილაპარაკოთ რა გზით და რა ღონისძიებით შევუდგეთ თ. ზაქ. ერისთავის მიერ დადგენილ პირობების აღსრულებას.

თ. გ. ხიმშიაშვილი. საჩუქარზე უარს ვინ იტყვის? საქმე ის არის, რომ თ. ზაქ. ერისთავს ჰსურს ეს საჩუქარი სამეურნეო სწავლა-განათლების გაძლიერებას ჩვენში მოხმარდეს. ამისათვის საჭიროდ დანახულია ოძისს საშუალო კურსის სამეურნეო სკოლა გაიმართოსო. აი ამ სკოლისათვის ფულია საჭირო. ჩემის ფიქრით, ის წყაროები, რომელიც კამისიას აღუნიშნავს, სრულად უიმედონი არიან. მაგისთანა წყაროებზე აშენება სკოლისა წინდაუხედავობა იქნება. ერთად-ერთი წყაროა, რომელიც ამ საქმისათვის უფრო საიმედოა. ეს ის არის, რომ უნდა ავიღოთ და მთელმა გუბერნიის თავად-აზნაურობამ, მანეთი იქნება, თუ ორი მანეთი თითოზე, გავიწეროთ, აქედამ მოგროვილის ფულით გავუძღვეთ იმ მართლა დიდს საჭიროებას, როგორც სამეურნეო სწავლა-ცოდნაა ჩვენთვის. სხვა ყოველი წყარო, ჩემის ფიქრით, ამაოა. ამისთანა შემთხვევაში ყველა ბანკზე გვიშვერს ხელს. ბანკის საქმე განსაცდელიანია, დღეს იძლევა მოგებას და ხვალისა-კი არავინ იცის როგორ წავა საქმე. განა ამისთანა წყაროზე შეიძლება აშენდეს სკოლა, რომელიც დღე ყოველ ხარჯსა თხოულობს და გამოულეველადაც.

თ. ივ. სულ. ჭავჭავაძე: მე მგონია, რომ კომისიისაგან ნაჩვენები წყარო ერთი მაინც მეტად საიმედოა. მე ვამბობ ქარვასლის შემოსავლისას. ჩვენ მიერ გამოცხადებულ ანგარიშიდამ სჩანს, რომ ქარვასლა ყოველ წლივ თუ არ ათას ორას თუმანს, ათას თუმანს მაინც გადაარჩენს. ეს ფული ოძისის სკოლაზე მივაქციოთ და აი ერთი ულეველი წყარო.

გუბერნიის მარშალი. თქვენის ანგარიშიდამ ეგ არა სჩანს. აი ხელთ მიჭირავს ეგ ანგარიში და მაგ ათას თუმანს ვერა ვხედავ გადარჩენილს.

თ. ივ. სულ. ჭავჭავაძე: მაგ ანგარიშიდამ ეგ არც გამოჩნდება, რადგანაც ეგ ანგარიში 1895 და 1896 წლებისა არის. მაგ ანგარიშიდამ დაგანახვებთ, რომ ამ 1897 წელს თუ ათას თუმანზე მეტი არა, ნაკლები ფული არ დაგვრჩება სკოლის მოსახმარად.

თ. ივ. სულ. ჭავჭავაძემ ამ ორის წლის შემოსავალ-გასავლის ანგარიშიდამ მოთვალა ყოველივე შემოსავალი, ყოველი გასავალი ქარვასლისა და დაამტკიცა, რომ ათას ორას თუმნამდე ძირს ფული დარჩება ამის შემდეგ ყოველ-წლივ და როცა ქარვასლა ამ თორმეტ თუ ცამეტ წელიწადს შემდეგ ბანკის ვალს გადაიხდის და უეჭველად გადაიხდის კიდეც, მაშინ თავად აზნაურობას ხუთი ათასამდე წელიწადში ხარჯთ გარეთი შემოსავალი ექმნება ამ ქარვასლიდამა.

გუბერნიის მარშალი. მაგას რომ ანგარიშობთ, ის კი აღარ უნდა გვაგონდებოდეს, რომ ამ ათს წელიწად შემდეგ ასეთი შეკეთება მოუნდება მაგ ქარვასლას, რომ დიდი ფული დასჭირდება. საიდამ უნდა გავუძღვეთ ამის ხარჯს, თუ ყოველ მისს შემოსავალს ეხლაც და ყოველ წლივ სხვა რაზედმე მივაქცევთ, ეს ერთი, მეორე ის არის, რომ თუ მეტი რამ შემოსავალი გადარჩება ქარვასლისა, ის არა სჯობია ეს ნარჩენი ბანკის ვალის გადახდას მოვახმაროთ, რომ ქარვასლა მალე დავიხსნათ ვალისაგან და მაშინ მთელი ხარჯთ-გარეთი შემოსავალი თავად-აზნაურობას ხელთ ექმნება საერთო საჭიროების გასაძღოლად.

თ. ივ. სულ. ჭავჭავაძე. ქარვასლის რემონტის სახარჯოც დანახულია იმ ანგარიშში და თუ დედა-მიწა არგაირღვა და თან არ ჩაიტანა ქარვასლა, ჩემ მიერ გამორკვეული ათასი თუმანი უსათუოდ ძირს დარჩება შემოსავლიდამ ოძისის სკოლისათვის. ვალი შესაძლოა თავისის წესით და რიგით მოშორებულ იქმნას აუჩქარებლივ. ქარვასლა მაგას შესძლებს გაუჭირებლივ ჩრად გვინდა, რომ დღეს სკოლა ოძისისა დავაგვიანოთ, როცა იგი ეგრე საჭიროდ დანახულია და ვალის მოშორება ავაჩქაროთ, როცა

---

ამ დროს კარების ზარა ჩამოჰრეკეს. შეკრთნენ ცოლ-ქმარნი, ხელი გაუშვეს ერთ-ურთს და რო გამოფხიზლდნენ, ერთმანეთს ალერსიანად უსაყვედურეს.

— რა არის ჩვენი ასეთი თავდავიწყება!

— ნეტარება, პოეზია... სიცილით უპასუხა შაქრომ და დაუმატა: ასეთისავე თავ-დავიწყებით შევებრძოლები ყოველსავე ბოროტებას, იმ პირობით კი, რომ...

— რა პირობით? ჰკითხა ცოლმა.

— იმ პირობით-კი... რომ შენ ყოველთვის გიყვარდე, უპასუხა, შაქრომ: არა, გენაცვა, მე თუ შენში მოვტყუვდი, თუ ჩემმა სიყვარულმა ფერი იცვალა, რასაკვირველია, შენისვე გამოცვლით, მაშინ მხეცად გარდვიქცევი. ჩემის აზრით, სიყვარულ-დაკარგული გული თვალ-უწვდენელ ხაროსა ჰგავს, სადაც მზე თავისს დღეში აღარ ჩაიხედავს ხოლმე და სადაც გველ-ბაყაყების მეტი არა ბუდობს-რა და... სტყუვის ის, ვინც რამდენსამე სიყვარულს აღირსებს. იგი გარყვნილობის მორევში ჰბანობს და გრძნობა გათახსირებულს თავი-კი სამოთხეში ჰგონია! ამ გვარს კაცს სიკეთის დათესვას არ შეუძლია. იგი თავისს ცხოველურ მოთხოვნილებაზეა მიჯაჭვული! სთქვა შაქრომ და ერთხელ კიდევ აკოცა ცოლსა.

— და თუ მეც შენში მოვტყუვდი... ხომ იცი მე შენი?! მიუგო მაკინემ და მუშტი მუშტს აცეცქვა. მაგრამ ეს უკანასკნელი ნიშანი შაქროს არ დაუნახავს. ზარი კიდევ დარეკეს და დერეფანში გავარდა კარის გასაღებად. მხოლოდ ცოლის კასკასი ყურში სიამოვნებით უღერიალებდა.

— ოხ! გენაცვალოს ჩემი თავი! სთქვა მაკინემ, მერცხალივით შემოტრიალდა და გრძნობა-მორეული მეორე ოთახში გავარდა.

—

— ააა! — მობრძანდი, მობრძანდი, ჩემო კეთილო, კარების გაღებისათანავე წარმოსიქვა შაქრომ: მშვიდობა შენი ნახვა, მიკვირს დაიგვიანე? ამ სიტყვებით მიეგება შაქრო არა იშვიათს სტუმარს თავისს ოჯახისას, პეტრე კუდბაწარაშვილსა.

ასე ალერსიანათვე მიიღო იგი მაკინემაც.

მთლად გაბრწყინვებული პეტრე მალე აჭიკჭიკდა, ახმაურდა და ოხუნჯობას მოუმატა. პეტრე ოჯახის კარგ ნაცნობად ითვლებოდა და მეტის მეტად თამამადაც ეჭირა თავი. შაქრო და მაკინე გალაღებულად სცნობდნენ პეტრეს და გულწრფელად ენდობოდნენ... მაგრამ პეტრე-კი ამ გულკეთილობით თურმე თავისებურად სარგებლობდა.

— კაცო რა სულ სახლში ზიხარ კრუხივით, გამოდი გარედ, რა ამბავია და!.. ცოტა ხნის შემდეგ უსაყვედურა პეტრემ შაქროსა.

— რაც სასარგებლოა, აქედგანაც გავიგებთ და ჰორებისათვის-კი სწორე მოგახსენო, ჩემო პეტრე-ბეგ, არა მცალიან, სიცილით უპასუხა შაქრომ.

— კარგი ერთი, მამა გიცხონდა, ფილოსოფოსობას თავი დაანებე. ვითომ არ გიცნობ, რა შვილიცა ხარ... ვიდრე ცოლს შეირთავდი, პირველი მოქეიფე-მოხეტიალე იყავი და ახლა ამბობ? მაკინეს აწონებს თავსა, ჰა! აი, შე ეშმაკო, შენა? ვითომ და ხუმრობით სთქვა პეტრემ და მაკინეს გადახედა.

მაკინეს ამ სიტყვებზედ ფერი ეცვალა, მაგრამ შაქროს-კი ყურადღება არ მიუქცევია, იმან პეტრეს ჩვეულებრივ ყბედობად ჩასთვალა, გაიცინა, რაღაც იოხუნჯა და მერე ლაპარაკის კილოც შეიცვალა.

მაკინე ცოტა ხანს დარჩა მათთან და ჩაის მოსამზადებლად გავიდა სამზარეულოში. მხიარულობდა ორი მეგობარი, მოიგონებდენ შეგირდობას, სამსახურს, ნაცნობებს და მათ დაუსრულებელ ხარხარს საზღვარი არა ჰქონდა.

მხოლოდ მაკინე ცოტა არ იყოს გულ-ნატკენი შეიქმნა... ეშმაკათ რაღაც შავმა ფიქრებმა შეიპყრეს და სიყვარულით ატოკებული გული ნელ-ნელ ჯანღით ემოსებოდა... მართალია, დიდი ხანია იცნობდა შაქროს, ჰხედავდა ამის მოქმედება-მისწრაფებას, ერთმანეთისათვის სული და გული ჰქონდათ გარდაშლილი მაგრამ... პეტრეს სიტყვებმა ახლა-კი დააფიქრეს, მით უმეტეს, რომ პირველად არ ესმოდა პეტრესაგან ასეთი ლაპარაკი.

— იქნება შაქრო მართლა მიმალავდეს რასმე, იქნებ ჩემს გარდა ჰყვარებია ვინმე... მერე?.. გაიფიქრა მაკინემ და გული გადმოუქანდა.

— ნუ თუ? — კიდევ განაგრძო ფიქრი მაკინემ — მერე რაღა მეშველება? მაშინ მშვიდობით ჩემო სულის სიმშვიდევ. ვერა ვერ ავიტან, რომ შაქრო ოდესმე სხვისი ალერსით დამტკბარიყოს... გულის კანკალით წარმოსთქვა მაკინემ და ცრემლ-მორეულის თვალებით ნახშირი გაჯავრებით ჩაჰყარა სამოვარში,

ფიქრისაგან თავ-სრეტი დაესხა მაკინეს და სისხლი თავში აუვარდა. რად მოუვიდა ასე, რაღა დღეს დაუკვირდა ამ საგანს? ვინ იცის მომეტებულის გრძნობიერების ბრალიც იყო. ასე, თუ ისე, მაკას გულში რაღაც აქამდის მისთვის გაუგებარმა გულის წიწკნამ ჩაიბუდა და ვინ იცის სედამდის მიიყვანდა ეს გულის თქმა!

—

ვისარგებლებ ამხანაგთა საუბარლაპირაკით და მაკინეს საქმიანობით და მოკლედ გაგაცნობთ ბ-ნ კუდბაწარაშვილს. მაგრამ ან კი რა ვსთქვა იმის მეტი, რომ იგი იყო ლაზათიანის შეხედულობისა, ახალგაზდა მარილიანი მოლაპარიკე და ცოტაოდენი გაგებულიც... შაქროს პირში ჰმეგობრებდა ხოლმე, მაგრამ ისე-კი, შაქრო იქნებოდა თუ ვასო, მიხა თუ ილო, ამისთვის სულ ერთი იყო. მეგობრობას, მხრის დაჭერას პეტრეს ბუნება ვერ ეთვისებოდა. აქეთაც იყო, იქითაც, შენც მოგეფერებოდა იმასაც, გაძვრებოდა, გამოძვრებოდა, ენას გაასარსალებდა და მაინც ყოველთვის გამოვიდოდა ისე, რომ თუ მადლიერი არა, მომდურავიც ბევრი არა ჰყავდა. ერთი ბედნიერება ამისი კიდევ ის იყო, რომ ქალებს მალე მოაწონებდა ხოლმე თავსა და ერთი თვალსაჩინო ადგილიც ეჭირა მათ-შორის. მხოლოდ ამათიც ასეთივე ორგული იყო, როგორც ამხანაგებისა... ყველას სხვა თვალით უყურებდა და სცდი-

არავინ გვაწუხებს და თავ-თავის დროზე ვალს ვიშორებთ. გარდა ამისა ესეც იქონიეთ სახეში, რომ ბანკი ათას ცხრაას თუმანს მეტს გვედავება. ჩვენის ფიქრით, მაგ ფულს უსაბუთოდ გვთხოვს ბანკი და აი რამდენი ხანია თქვენ, ბ-ნო მარშალო, ამ საგანზე არავითარი მეცადინეობა არ გამოგიჩენიათ.

გუბერნიის მარშალი. ეს ჯერ ერთი სავინიცობაო საქმეა და მერე როგორღა ხმა უნდა ამოვიღო მაგ ფულზე, თუნდა საბუთი მიგვიწდოდეს, როცა ბანკმა შარშან ხუთი ათასი თუმანი უძღვნა თავად-აზნაურობას.

თ. ივ. სულ. ჭავჭავაძე. ესეა თუ ისე, ეს საქმე თქვენ მიერ უყურადღებოდ იყო დღევანდლამდე, დავანებოთ ამას თავი. მე ვამბობ, რომ ეგ ათასი თუმანი მაინც ქარვასლის შემოსავლიდამ საიმედოა. არა ნაკლებ საიმედოა მეორე წყაროც ნაჩვენები კამისიისაგან. ეს წყარო იგი სამეურნოე საჭიროებისათვის გადასადები ფულია, რომელიც დღეის ამას იქით ბანკმა თავისის მოგებიდამ უნდა გადასდოს ხოლმე. წელს ეგ ფული ათასს ექვსას თუმნამდე იქნება. აი მეორე საიმედო წყარო.

გუბერნიის მარშალი. არა მგონია, ეგ ფული ისეთი საიმედო იყოს, როგორც თ. ივ. სულ. ჭავჭავაძეს ჰგონია. ჯერ ეგ ფული ბანკის მოგებაზეა დამოკიდებული და მეორე— მოგვცემს მაგას ბანკის კრება თუ არა, ეგ არვინ იცის წინადვე. აი თვითონ თავმჯდომარე ბანკის გამგეობისა აქ არის და ვკითხოთ რამოდენად საიმედოა ჩვენთვის ბანკის ფული.

თ. დ. ს. მაყაშვილი. ჩემის ფიქრით არაფერი სანუკვარია ის საჩუქარი, რომელიც ჩვენგან ამოდენა ფულის ამოღებას თხოულობს. მაგ საჩუქარს ზედ უნდა დავაყაროთ ხუთი ათას თუმნამდე და ამას გარდა ყოველ წლივ ორ-ორი ათასი თუმანი. ამ სახით ეგ საჩუქარი ჩვენ გვალარიბებს და არ გვამდიდრებს-კი. ეგ საჩუქარი ჩვენთვის ზარალის მეტს არას მოასწავებს.

გუბერნიის მარშალი. თ. ილია ჭავჭავაძეს ვთხოვ აგვიხსნას, შეუძლიან ბანკს რაიმე იმედი მოგვცეს ფულისა ან საერთო საჭირებისათვის გადადებულ ფულიდამ, ან სამეურნოე საჭიროებისათვის დანიშნულიდამა.

თ. ილ. ჭავჭავაძე. ქართველები ამბობენ, რომ ზარალი და მოგება დაძმანი არიანო. ბანკი იმისთანა ბუნების და თვისების საქმეა, რომ დღეს რომ მოგება ჰქონდეს, ხვალ შესაძლოა ზარალი. იგი თავნი—ფული, რომელიც ბანკის კრებას ნება აქვს წესდების ძალით მოახმაროს ან საერთო საჭიროებას, ან სამეურნოეს რასმე, მარტო მოგებიდამ შესდგება. თუ მოგება არ არის, არც ღონისძიება ექნება ბანკსა ამ მხრით შემწეობა გაუწიოს თავად-აზნაურობას, თუნდ ბანკის კრებამაც მოინდომოს. ბევრნაირი, წინად დაუნახავი მიზეზია, რომელიც ასე თუ ისე ბანკს ხელს უშლის ხოლმე. აი, მაგალითად, ერთი უეცრად ომი რომ ასტყდეს, სარგებლიანის ქაღალდების ფასი ძირს დაიწევს საზოგადოდ და გირავნობის ფურცელი ცალკე. არავინ ისურვებს გაიგებულ სარგებლიან ქაღალდით ვალი აიკიდოს და მერე ნაღდის ფულით იშოროს მანეთი მანეთზე. ამ მიზეზით, სესხის გაცემა დაბრკოლდება და ბანკის მოგება ამ სესხის გაძლიერებაზეა დამოკიდებული უფრო, ვიდრე სხვა რაზედმე. გარდა ამისა ამ ბოლოს ხანებში ჩვენის ბანკის საქმე ისე აწეწა ერთმა ნაწილმა ჩვენის თავად-აზნაურობისამ, რომ ლამის ბანკი უსაქმოდ დარჩეს. შარშან ბ-ნმა მინისტრმა ისეთი პირობა დაგვიდვა მამულების დაფასებისათვის, რომ იმდენი სესხის გაძლიერებისა თითქმის მოგვისპო. გამგეობა ბანკისა ჰცდილობდა ⅾ დღესაც ჰცდილობს ბ ნ ფინანსთა მინისტრის წინაშე, რომ ისევ უწინდელ დაფასების წესით ნება მოგვცეს ვიმოქმედოთ და დაგვიხსნას ახალის პირობებისაგან, რომელიც არამც თუ გვაბრკოლებს, არამედ თითქმის შეუძლებლად გვიხდის ბანკის საქმეთა გაძლიერებას მოგებისათვის. იმის მაგიერ რომ თავად-აზნაურობას აქ შემწეობა რამ აღმოეჩინა ბანკისათვის, რომლის მეოხებითაც ცოტად თუ ბევრად ჩვენს საერთო ჭირ-ბოროტს ვუძლვებით, ავიღეთ და საჩივარი შევიტანეთ სამინისტროში და ჩვენვე ვთხოვთ უბძანეთ ბანკს მისი სულთა-მხუთავი პირობები, თქვენ მიერ ნაბძანები, მტკიცედ აასრულოსო. გაგიგონიათ სადმე ამისთანა ამბები! ამის შემდეგ მოდიხართ და გვეკითხებით: ბანკი რა იმედს იძლევაო? რა იმედი უნდა მოგცეთ ბანკმა, რომელსაც თქვენვე ძირს უთხრით, გზას ულობავთ წარმატებისას და ამაების მომქმედებს ბარაქალასაც ეუბნებით. ყველა გვარი საჩივარი შესაძლებელია, ხოლო მოჩივარი თხოულობდეს გზები შეგვიკარით, რომ ბანკმა ხელი ველარ გასძრასო, განა ხეირს დააყრის ბანკსა. ბანკი თქვენ ვერაფერს იმედს მოგცემთ ძალიანაც რომ ჰსურდეს. იმედი მოგებაზე უნდა იყოს დამყარებული და მოგება კი სხვა-და-სხვა მიზეზზეა დამოკიდებული. აბა წინად ვინ იტყვის, ხვალ რა პოლიტიკური ამბავი როგორ იმოქმედებს ფულის აღებ-მიცემობაზე, როგორ ასწევს და დასწევს სარგებლიან ქაღალდების ფასებს საერთოდ და გირავნობის ფურცლებისას ცალკე და ეს ყოველი რამოდენად შესაძლოდ გახდის სესხის გაცემას. ან ვინ იცის როგორ გადასწყვეტს ბ-ნი მინისტრი თქვენსავე თხოვნას, რომელიც იმაზეა სხვათაშორის მიმართული, რომ ბანკი თავისს საქმეს წინ ველარ წასწევს, თუ მთხოვნელთ სურვილი აუსრულდათ და იგი დაფასების წესი სამუდამოდ სავალდებულო გაუხდება ბანკსა, რომელიც შარშან ბ-ნმა მინისტრმა დაავალა ბანკსა და მთხოვნელნივე ეხვეწებიან ამ საქმეში უფრო მაგრად მოეკიდე ბანკსაო. განა შეიძლება ბანკმა, ამდენს განსაცდელში მყოფმა, რაიმე იმედი მოგცეთ? ბანკის მოგებაზე დაფუძნებული საქმე მაგრად დაყენებული საქმე არ არის. მოგება დღეს არის, ხვალ შეიძლება, არ იყოს. ჯერ ბანკი იმასაც ძლივ უძლვება რაც მძიმე ტვირთად აწევს. იგი ინახავს სათავად-აზნაურო სკოლას, რომელსაც თითქმის ხუთი ათას თუმნამდე ხარჯი უნდება ყოველ წლივ. აქაც ბანკი ისე გაჭირებულია, რომ იძულებულია ზოგჯერ წინად აძლიოს სკოლის სახარჯოდ ფული, მოგებიდამ კი არა, მოგების იმედიდამ. თქვენი საჩივარი, რომელიც დღეს სამინისტროშია გასარჩევად, ამასაც-კი ამხელს და ცოდვად უთვლის ბანკის გამგეობას. რა თქმა უნდა, ბანკის გამგეობა ამისთანა გასამხელს საქმეს აღარ ჩაიდენს შემდეგში, რაც გინდ სათავად-აზნაურო სკოლას გაუჭირდეს. აი წელს სწორედ იმისთანა წელიწადია, როცა სკოლას ამისთანა გაჭირების დღე დაადგება. წლევანდელი საერთო საჭიროებისათვის გადასადები იმოდენა არ იქნება, რომ სკოლის ხარჯს რამდენისამე თთვით ეყოს. ჯერ შარშან დეკემბერში ამისთანა გაჭირების დღე დაადგა სკოლას და რადგანაც ბანკმა უარი უთხრა, გამგენი სკოლისანი იძულებულ იქმნენ ქარვასლის შემოსავლიდამ ხუთასი თუმანი ესესხნათ. წელს კი კარგა ბლომა ფული მოგინდებათ, რომ სკოლა შეინახოთ. დღესვე რომ შეუდგეთ ამისათვის ზრუნვას, მეტი არ იქნება. ბანკი ველარ გაბედავს მომავალის მოგების იმედით სახარჯო რამ აძლიოს სკოლას. ჭკუის სასწავლებლად ისიც ეყოფა ბანკს, რომ ჯერ ეხვეწებით გვიშველეთო და როცა გშველით, თქვენგანნივე სჩივიან სამინისტროში, რომ უკანონოდ გვშველიანო. წელსვე, მოგახსენებთ, საჭიროა ბანკის ფულს მიაშველოთ თქვენი ფულიცა, რომ სათავად-აზნაურო სკოლა შეინახოთ. დასამალავი აქ არა არის-რა. ამ გარემოებას დიდი ყურადღება უნდა მიაქციოთ და წელსვე იფიქროთ საიდამ რას გახდე'ით, რომ სკოლამ იცხოვროს და თავი შეინახოს. ეს დღევანდელი გაჭირება სკოლისა პირდაპირ გეუბნებათ რა სახიფათოა ბანკის მოგებაზე იმედების აგება და აშენება. რა თქმა უნდა, თუ ბანკს ექნება რამე, სწავლა-განათლებისათვის არ დაჰზოგავს, ხოლო წინადვე ამის აღთქმას ვერავინ მოგცემთ.

(დასასრული იქნება)

## ახალი ქართული პიესა „იუდით“.

ჩვენს პატივცემულს მწერალს ბ-ნს ანტონ ფურცელაძეს დაუწერია ახალი პიესა, ტრაგედია 5 მოქმედებად „ივდით“, დაბადების ისტორიიდგან. აი მოკლედ შინაარსი ამ პიესისა: იერუსალიმის უკანასკნელ აკლებისა და ებრაელთა მეფობის ბაბილონის მეფის ნაბუქოდონოსორის მიერ დამხობის შემდეგ, ებრაელთა სამეფო კვლავ აღდგება და დაბნეულნი ებრაელნი ისევე უბრუნდებიან თავიანთს სამეფოს მისდა განსაახლებლად. გამარჯვებებით თავ-გაზვიადებული მრავალის ნაბუქოდონოსორი თავისს თავს ღვთაებად აცხადებს. რადგან ზოგიერთ ტყვე-ქმნილ ებრაელებს არა ჰსურთ აღიარონ იგი ღმერთად, იგი გადასწყვეტს ისრაილის მთლად ამოწყვეტას. ამ აზრით იგი ისრაელის წინააღმდეგ ჰგზავნის თავისს პირველს მხედართ-მთავარს ოლოფერნს დიდ-ძალის მხედრობით. მხედართ-მთავარი ოლოფერნი გარს შემოერტყმევა ებრაელთა უპირველესს ციხე-სიმაგრეს ბითილუს, რომლის აღებით შესაძლებელ ჰხდება დამხობა სრულიად ისრაელთა ქვეყნისა. ოლოფერნი რამდენსამე იერიშს მიიტანს ამ ციხე-სიმაგრეზედ, მაგრამ რაკი ვერაფერს დააკლებს, სწყვეტს წყაროს, რომლითაც წყურვილს იკლავენ ბითილუს მკვიდრნი. ქალაქი იძულებულია მტერს თვითვე ჩაუვარდეს ხელში და ციხე-სიმაგრეს გზა გაუხსნას. როდესაც ბითილუს

---

ლობდა როგორმე... მაგრამ ხომ მოგეხსენებათ ამ გვარის ხალხის გულის თქმა და გათეთრება კი საჭირო აღარ არის, ქალებს-კი მაინც მოსწონდათ და ზოგიერთს კიდევაც უყვარდა. ამ შემთხვევაშიაც გაძვრებოდა, გამოძვრებოდა ხოლმე და მაინც გულ-სადი და ჯანსაღი გამოდიოდა... ოღონდ-კი თავის გულის წადილი აესრულებინა პეტრესა და ქვეყანა რომ გადაბრუნებულიყო აინუნშიაც არ ჩაიგდებდა. თუმცა კი სხვის დასანახავად ყველაფერს ეპოტინებოდა და კეთილის საქმის გულ-შემატკივრად მოგეჩვენებოდათ.

— მე არავითარი „ზნეობა“ არა მწამს... გაჰკა-გამოჰკა. „რასაცა შესჭამ, შენია, რაც არა დაკარგულიაო“ იტყოდა ხოლმე გულში და ასედაც იქცეოდა, მხოლოდ ძალიან ფრთხილად და მოხერხებით. ამ გვარისავე აზრთა-წყობის ბრალი იყო, რომ პეტრემ განიზრახა მაკინე როგორმე თავისკენ მოემხრო... შეჯდა კუდ-ბაწარა შვილი ეშმაკის ცხენზედ, ეშმაკის კუდი ხელში მათრახად დაიჭირა და ნიღაბ-ჩამოფარებული ხშირად დაიარებოდა შაქროსთანა. დღეს კი გადასწყვიტა პირდაპირი იერიში მიეტანა მაკინეზედ...

აი ვინ იყო პეტრე კუდ-ბაწარაშვილი.

—

მაკინემ გადაიყარა შავი ფიქრები, დაჰძლია თავსა და გაცოცხლებული, ჩვეულებრივის სახით და ღიმილით მობაასებთან გავიდა.

— რავქნა, ველარ გათავეთ სიცილ-ხარხარი, მე ჩაი კიდეც მოგიმზადეთ. სიცილით მიჰმართა მაკინემ მობაასეთ და ხელების ფშვნეტა დაიწყო.

— თქვენი სისწრაფე-სიმალე შავარდენსაც შეენატრება და თქვენი მეოჯახეობა ხომ საარაკოა, —სიტყვა ჩამოართვა პეტრემ.

—ხოლო თქვენი მჭერ-მეტყველობა კიდევ — ბატონო პეტრე—ხარხარით უთხრა შაქრომ,— თქვენ სიმაღლეს თუ არა, თქვენ სიგანეს მაინც აღემატება.

— ეე! ეგ არ მიკვირია, ქუჩაზედ გაგონილ სიტყვებით რომ არ მომმართო, სხვა ვერა მოიგონე-რა... სიცილითვე უპასუხა პეტრემ.

— იმისთანას რას მოვიგონებ, რომ არა თქმულიყოს-რა... მაშასადამე...

—მაშასადამე ის, რომ...

— კარგით, კარგით, თუ ღმერთი გწამთ, ყაყანს თავი დაანებეთ... ვიცით, ვიცით, რომ ორივე ყოჩაღები ხართ, ჩაერია ლაპარაკში მაკინე. ახლა დროა ჩაი დავლიოთ. ადექ შაქრო, ე მანდ მიირბინე და პური იყიდე, ხომ იცი ჩემო, მიმინო, მოსამსახურე არა გვყავს.

— მე, მე გიახლებით, თქვენი ქირიმე. წამოიჭრა პეტრე.

— კარგიი! წამსვლელი იყო, გაინაზებოდი, კიდევ გაიხუმრა შაქრომ, წამოავლო ქუდს ხელი და სიცილით გარედ გავიდა.

შაქროს გასვლა და პეტრეს წარბის შეკვრა ერთი იყო. იფიქრა „ახლა კი დრო ვიპოვენეო“, გაინაბა კატასავით, სახე მოიღუშა, თვალები მილულა და თითქოს ფერიც კი გამოიცვალაო, ღმობიერათ შეხედა მაკინესა.

მაკინე შეკრთა და და გულმტკივნეულად დაეკითხა.

რა მოგივიდა ყმაწვილო!

— მე... მე... არაფერი. ხუმრობის შემდეგ ასე იცის ხოლმე... ბევრი ვიცინე და ახლა გუნება გადამიტრიალდა.

— არა, თუ ღმერთი გწამს მაინც რა მოგივიდა, შაქრომ ხომ არა გაწყენინა-რა? კიდევ დაეკითხა მაკინე.

პეტრე ერთი შეფრთხრიალდა და წამოიძახა.

— ეჰ, რაღა რა მომივიდა, დავიწვი დავიტანჯე, თქვენის გაცნობის შემდეგ... მაგრამ არა! მაპატიეთ... თქვენ შესანიშნავი ადამიანი ხართ და მიკვირს...

მაკინეს, თითქოს ცივი წყალი დაასხესო, გაფითრდა და ისე დაიბნა, რომ ხმის ამოღება ველარ მოახერხა, მარტო გაშტერებით მისჩერებოდა.

— მე მიკვირს, განაგრძო პეტრემ, თქვენ ეგეთი ანგელოზი, უმანკო ხართ და შაქრო-კი... მაინც-დამაინც...

— რაო, რას ამბობ? გიჟივით წამოიძახა მაკინემ და თვალები გადმოიტრიალა. მე თქვენა გთხოვთ, ხმა, კრინტი აღარ დასძრათ, თუ სახლიდან გაგდება არ მოგსურვებიათ განა, განა ამიტომ გიშველდი სახლში, რომ შეურაცხყოფა მოგეცა! დაჰკივლა მაკინემ და თმა ყალყზე შეუდგა. პეტრე უფრო გაინაბა, გაფითრდა და ხმის კანკალით უთხრა.

— ნუ, ნუ ჯავრობთ მაკინე. მე თქვენ ძალიან, ძალიან მომწონხართ და ყველაფერს ეს მალაპარაკებს.

— ოხ, შე ღვთის ცეცხლო! ერთხელ გითქვამს ეგ და მეორედ აღარ გაბედო... რა სინიდისი გაძლევს ნებას. რა საბუთი მამიცია შენთვის, ამ დღიდან, გთხოვთ, ჩვენსა აღარ გაიჭაჭანო. ანგარიშ მიუცემლად წარმოსთქვა მაკინემ და თვალ-ცრემლიანი მეორე ოთახში გაიჭრა.

— მერე ჩემი ტანჯვა, ჩემი ფიქრები?! მე თქვენ გარდაგიხდით ქალბატონო!.. ყრუდ მიაძახა პეტრემ და თავი ჩაჰკიდა.

ყველა ეს, ისე მოულოდნელად და უეცრად მოხდა, რომ მაკინე აიტაცა და ანგარიშ მიუცემლად თავში ხელს იცემდა გალანძღა, გაათრია პეტრე. მაგრამ ახლა იმას შაქროს მეტი არავინ ახსოვდა. რა უთხრას როგორ გაუბედოს პეტრეს მიერ შეურაცყოფა... მაგრამ იქნება შაქრო მართლა მღალატობდეს!?.. უცბად გაიფიქრა მაკინემ და ბურბუშელასავით აინთო.

— მაშინ, მაშინ ერთი-ერთმანეთზე გადავაბამ ორივეს და ნიავ-ღვარს გავატან. ახ, ღმერთო, ღმერთო! წამოიკვნესა მაკინემ და ბარბაცით კედელს მიეყრდნო.

ამ დროს შაქროს ფეხის ხმა რომ არ გაეგონა, იქნება ღრიალით ტირილიც ამოეშვა, მაგრამ თავი შეიმაგრა და სცდილობდა დამშვიდებულიყო.

— შაქრომ ეს ამბავი არ უნდა გაიგოსო—გაიფიქრა მაკინემ და ეს არა სასიამოვნო შემთხვევავა გულის სიღრმეში ჩაჰკეტა! რადა, რისთვის? იქნება ეხათრებოდა საყვარელის ქმრისა!

პეტრემ-კი იმავ წუთში ყველავე მიილოკ-მოილოკა და ისევ მომცინარის სახით დახვდა შაქროსა.

(დასასრული იქნება)

მამულიშვილნი გადასწყვეტენ კიდეც, მტერს დავნებდეთო, ამ დროს ერთის პატიოსანის ებრაელის მანასეს ქვრივი, საოცარის სილამაზისა, ქებული თვისის სათნოებით, ივდით წასდგება ებრაელთა წინაშე და სთხოვს ებრაელთა მხედართ-მთავრებს ოზიოს, ხარმის და ხარვის, რომ თქვენს გარდაწყვეტილებას ნუ აღასრულებთ, რამდენიმე დღე მოითმინეთ და მე დავიხსნი იუდიელთა ქვეყანას მტრისაგანაო. მიდის მტრის ბაბილონელთა ბანაკში როგორც ბითილუდგან გამოქცეული და წარუდგება თვით ბაბილონელთა მხედართ მთავარს ოლოფერნს. ოლოფერნი, გატაცებული მისის საოცარის სილამაზითა და მშვენიერებით, ლხინს უმართავს, რომლის დროსაც იმდენს დალევს, რომ გონებას სრულიადა ჰკარგავს და, მარტო დარჩენილი ებრაელ ქალთან, იმის ხელთ ვარდება. ივდით მახვილით მოსჭრის თავს და მისი თავი და აგრეთვე მისივე სისხლში შესვრილი მახვილი მიაქვს ბითილუს. ციხე-სიმაგრეში თავ-მოყრილნი ებრაელთა სარდალნი როდესაც ჰნახავენ ამას, ოლოფერნის მახვილს შემოარტყმენ წელზედ ივდითს, მასვე მისცემენ ბაბილონელთა მხედართ-მთავრის მოჭრილს თავს, წარიმძღვარებენ წინ და თავს დაეცემიან ბაბილონელთ. თავს ზარ-დაცემულნი ბაბილონელნი ასეთის უეცარისა და მოულოდნელის მტრის შესევით, ჰნახავენ რა თავიანთ მხედართ-მთავრის მოჭრილს თავს,— შეშინებულნი ილტვიან ებრაელთაგან. ებრაელნი ამოსწყვეტენ ოლოფერნის მხედრობას და ამ გვარად ისრაილის ერი გადარჩება სრულიად აღგვასა და ამოჟლეტას.

ამ სახელით პიესა „ივდით“ რამდენიმეა დაწერილი უცხო ენებზედაც, მაგრამ არც ერთი არა ჰგავს ბ-ნ ან. ფურცელაძის «ივდით“-ს: მისი პიესა უფრო სრულია, უფრო დაახლოვებულია თავისის არაკით დაბადების ისტორიასთან და ისტორიული სიმართლე უფრო მტკიცედ არის დაცული. ავტორს, როგორც ეტყობა, სავსებით შეუსწავლია ბაბილონელთა ისტორია და მთელი „დაბადება“ და, რასაკვირველია, არა ერთი წელიწადი უნდა ეშრომა მარტო ამისთვის. პიესა მშვენიერის, ძველის ქართულის ენით არის დაწერილი და უფრო საკითხავად არის შექმნილი, ვიდრე სცენაზედ წარმოსადგენად. ჩვენ მოვისმინეთ ეს პიესა და გულ-ახდით უნდა ვსთქვათ, რომ, ჩვენის აზრით, იგი საუკეთესო ნაწარმოებია ბ-ნის ან. ფურცელაძის ყველა ნაწერებში. პიესის მსმენელი მისდა უნებურად შორდება აწინდელს ცხოვრებას და ავტორს თითქმის პირველ მოქმედების დასაწყისიდგანვე გადაჰყავს იგი დაბადების გმირთა, მოგვთა, მისანთა, ბაბილონის და ისრაილის მხედართ-მთავართა შორის. განსაკუთრებით კარგად არის დაწერილი მეოთხე მოქმედება, როდესაც ივდით, ტყვექმნილი მხედართ-მთავრის ვაჟკაცურის სანახაობით, მახვილ-ამართული სდგას და ენანება იგი, როდესაც მის გულში ქარ-ცეცხლი ტრიალებს და ბრძოლაა სამშობლოს გადარჩენის სურვილისა და თვისის საკუთარის გულის-თქმის შორის.

თუ პატივცემულმა ავტორმა იგი სცენის მოთხოვნილებასაც შეუფერა, როგორც თვით აქვს განზრახვა, მაშინ პიესა „ივდით“ ერთ უპირველესს ადგილს დაიჭერს ქართულის სცენის რეპერტუარში.

მანოელიძე

# უცხოეთი

**საფრანგეთი.** ჩვენი გაზეთის მკითხველებს გუშინდელ ნომერში გავაცანით როიალისტების გაზეთი „Caulois“-ის აზრი რუს-ფრანგთა მეგობრული კავშირის შესახებ. აი რასა სწერს ამავე საგანზედ გაზეთი „Temps“-ი: „გრაფი მურავიოვი მობრძანდება პარიზში, რომ დაახლოებით გაიცნოს საფრანგეთის რესპუბლიკის მოღვაწენი· ბევრი მიზეზი გვქონდა იმისა, რომ სიხარულით მივეგებებოდით ამ სახელმწიფო კაცის მინისტრად დანიშვნას. მხოლოდ ერთი გარემოება-კი არ გვასიამოვნებდა. საქმე ის არის, რომ გრაფი მურავიევი არ არის საფრანგეთის რესპუბლიკის მოღვაწეებთან ისე დაახლოვებული, როგორც იყო მისი წინამოადგილე, თ-დი ლობანოვ-როსტოვსკი. ყველას კარგად ეხსოვნება, თუ რა გულ-წრფელი დამოკიდებულება ჰსუფევდა თ. ლობანოვ-როსტოვსკისა და ბ-ნ ჰანოტოს შორის. ვიდრე ამ ორ მინისტრს შორის მეგობრული კავშირი დამყარდებოდა მათ შორის უკვე სუფევდა სულიერი ნათესაობა, რადგანაც ისინი, როგორც ისტორიკოსები, ერთის მიმართულებისა და ერთის აზრისანი იყვნენ ცხოვრების შესახებ. დღეს კი სიამოვნებით ვეგებებით იმ გარემოებას, რომ გრაფ მურავიევს პირადის დაახლოვებით მოუწადინებია საფრანგეთის რესპუბლიკის მმართველებთან მეგობრული კავშირის განმტკიცება. ჩინებულია ეს აზრი, მით უფრო ჩინებული, რომ ის ჭეშმარიტი გამომეტყველია იმ გულითადის მეგობრულის ყურადღებისა, რომლითაც რუსეთის მთავრობა ეპყრობა საფრანგეთს. გრაფი მურავიევი ამდენხანს უმეტეს ნაწილად მხოლოდ „persona grata“-დ იყო ჩვენში და ეხლა კი უეჭველად მოიხვეჭს საფრანგეთის რესპუბლიკის მოღვაწეთა ნდობასა და გულითადს პატივისცემას.“ ამისავე შესახებ აი რას ამბობს Jourual des Delats-ი: მურავიევის მოსვლას პარიზში ნამდვილი მანიფესტაციური ხასიათი აქვს. ეს ცხადი ნიშანია იმისი, რომ რუს-ფრანგთა კავშირი უფრო მტკიცე ნიადაგზედ სდგებაო.

## ჟურნალ-გაზეთებიდამ

ამოკრებილი ამბები.

აი როგორ მოქმედობს თურმე წყალი ადამიანის აგებულებაზე. ვინ რამდენი წყალი უნდა იმაროს სასმელად, ეს ყველასათვის ერთნაირად ვერ განისაზღვრება. ეგ იმაზეა დამოკიდებული ადამიანი რა ხნისაა, რა აგებულებისა, რა ჩვეულებისა და რა დროა წლისა, ზაფხული, შემოდგომა, ზამთარი გაზაფხული. სადილობის დროს ადამიანმა წყალ-ღვინო, თუ მარტო წმინდა წყალი იმდენი უნდა სვას, რაც საჭიროა წყურვილის მოსაკლავად. ნამეტანი სმა წყლისა ამძიმებს, ჰბერავს სტომაქს, კუჭს ბრკოლებს და მიღებულ საჭმელის ამონელებას, ე. ი. ხარშვას უშლის.

მეტის-მეტის სმა წყლისა ცხელ ქვეყნებში და სიცხეში ოფლის დენას აძლიერებს, ადამიანს ადუნებს და ასუსტებს. წყალი ზაფხულში უნდა ცივი იყოს, ვიდრე ზამთარში. ცივი წყალი 7 ანუ 10 გრადუსისა (რეომური) ძალიან კარგია სტომაქისათვის, რადგანაც სტომაქს აღონიერებს სამოქმედლად. თბილი და ცხელი წყალი-კი კუჭს ვერაფერსა ჰშველის და ზოგჯერ პირიდან ზიდილიც იცის.

ძალიან ცივი წყალი, თუ ბევრი დალია ადამიანმა და ნამეტნავად უზმოზე, ე. ი. ცარიელ სტომაქზე და ოფლიანმა, საშიშია იმიტომ, რომ ერთბაშად აცივებს ტანს და შესაძლოა ფილტვისა და პლევრის ანთება დამართოს.

თუ სირბილისა და დიდის გარჯის შემდეგ წყურვილმა აგიტანოთ, ერიდეთ ერთბაშად ბევრის ცივის წყლის სმას. პირიქით ეცადეთ ჯერ გაიგრილოთ ხელები და პირის-სახე, დანაყრდით და მერე წყალი მიირთვით ცოტ-ცოტად, ყლაპ-ყლაპობით. ამისთანა შემთხვევაში უფრო კარგია წყურვილი მოიკლათ ჩაის სმით, ანუ ამის მსგავსის სასმელითა (გ. ზ.)

***

ხველება, თუ გაციებისაგან არის, ადვილი მოსარჩენიაო შემდეგის წამლით. აიღეთ 12—15 მისხალი გლიცერინი (აფთიაქში იყიდება), გააცხელეთ ჩაის ფინჯანში და შეისუნთქეთ მისი ორთქლი, ირწმუნებიან, ძალიან ჰშველისო. (გ. ზ.)

# დეპეშა

22 იანვარი.

**პეტერბურგი.** გაზეთი ,,ლუჩი'', რომელიც ახალის რედაქტორის დამტკიცებამდე შეჩერებული იყო, გუშინდლიდგან ხელ-ახლად გამოვიდა.

**პარიზი.** საფრანგეთმა უკმაყოფილება გამოუცხადა ხედივს ინგლისის მთავრობისაგან ვალის აღების შესახებ. საფრანგეთმა მოაგონა ხედივს, რომ სესხის აღების დროს შენ უნდა მიგემართა სახელმწიფო ვალების კომისიისათვისაო.

**ლონდონი.** ინდოეთის საქმეთა სტატ-სეკრეტარმა ბომბეის გუბერნატორისაგან მიიღო დეპეშა, რომელშიაც ნათქვამია, რომ ყველა გემები ბომბეის ნავთ-სადგურებიდან გამოსვლამდე სანიტარულად ისინჯებიანო.

**კონსტანტინეპოლი.** უმაღლესს სასანიტარო საბჭოს თეირანიდგან დეპეშით ატყობინებენ, რომ ბელუჯისტანს ჯევადირის ნავთ-სადგურში შავი ჭირი გაჩნდაო.

**კონსტანტინეპოლი.** რადგან სინოდის ორ-დასთა შორის უთანხმოება მოხდა, მსოფლიო პატრიარქმა სამსახურს თავი დაანება.

**ვაშინგტონი.** 21 იანვარს ინგლისისა და ვენეცუელის ელჩებმა ხელი მოაწერეს ვენეცუელის საქმის სამედიატორო სამართლით გარჩევის ხელშეკრულობას.

24 იანვარი.

**ბერლინი.** 23 იანვარს ლუსტჰარს ტენეში რუსეთის იმპერატორი-ალექსანდრეს სახელობის რაზმს გარდაეცა ხელმწიფისაგან ნაწყალობევი დროშის ლენტები. იმპერატორმა ვილჰელმა პოლკოვნიკ ნეპოკოიჩიცკისთან და სხვებთან ერთად დაათვალიერა ჯარი, რის შემდეგაც ლენტები—თეთრი და წითელი მიამაგრეს დროშაზედ. წითელს ლენტზედ დაბეჭდილია პირველი ასოები მისის უდიდებულესობის სახელისა და ,,1894'', თეთრზედ —საიმპერატორო არწივი და ,,1896''. პოლკოვნიკმა ნეპოკოიჩიცკიმ გერმანულს ენაზედ წარმოსთქვა სიტყვა, რომლისთვისაც რაზმის უფროსმა, პოლკოვნიკმა გოლტკემ მადლობა გარდაუხადა და ეს თავისი მადლობა დაასრულა სამ გზის ,,ურას'' ძახილით ხსენებულ რაზმის უავგუსტესის შეფის იმპერატორას ნიკოლოოზ II-ის პატივსაცემლად იმპერატორმა ვილჰელმა ჩამოართვა ხელი პოლკოვნიკს ნეპოკოიჩიცკის. საუზმის დროს სასახლეში იმპერატორმა შემდეგი სადღეგრძელო წარმოსთქვა: ,,პატივცემულო, ბ-ნო პოლკოვნიკო! გთხოვთ თქვენ იყოთ გამომეტყველი ჩემთა გრძნობათა და შუამავალი რათა გადასცეთ მისს უდიდებულესობას მადლობა, რომელსაც მე გამოვსთქვამ მისის უდიდებულესობის რაზმის სახელითა და აგრეთვე მთელის მხედრობის სახელით იმ აგალის წყობილებისათვის. რომელიც მან მიანიჭა რაზმს. მისის უდიდებულესობა უკვეთესს საჩუქარს ვერ ამოარჩევდა ვინაიდგან ჯარის კაცისათვის რა არის უფრო სასურველი და რა უფრო ძვირფასი დროშაზედ: იგი ამ დროშასა ფიცულობს, ამ დროშას ემსახურება, მისთვის იბრძვის და სიცოცხლეს მისთვის სწირავს! ამ რაზმის უწინდელ შეფთა წყალობის ნიშნებს, რომელიც ენიჭებოდა დროსა ძლევა-მოსილებისა, უმეტესად თებერვლის თვეში, ღირსეულად შეჰიდება დროსი ეს ახალი ლენტებიც. რაც შეეხება იარაღის მხრივ ძმობას მისისს უდიდებულესობის მხედრობისა და ჩემის მხედრობისას, რაზმიცა და ჩემი მხედრობაც ჰგრძნობენ მნიშვნელობას ამა პატივისას და სრულის გულით მადლობელს არიან. გთხოვთ დაარწმუნოთ მისი უდიდებულესობა, რომ რაზმი არა თუ თავ-მომწონედ დაუწყებს ცქერას ამ ლენტებს, არამედ ყოველთვის განსაკუთრებულის სიხარულით გაიხსენებს იმ დღეებს, როდესაც მისი უდიდებულესობა, თავისის საკუთარის სურვილისამებრ წინ წაუძღვა მისთა დროშათა და დიდად მოსიხარულე მკვიდრთა წინაშე შეიყვანა იგი ქალაქ ბრესლავს, რომლის სახელიც ყოველთვის გაგვახსენებს ხოლმე მისთა მამა-პაპათა და ჩემთა მამა-პაპათა დამოკიდებულებას. მაშ შევსვათ სადღეგრძელო მისის უდიდებულესობას იმპერატორს ნიკოლოოზს! ,ურა'' ,,ურა'' ,,ურა!''. მისის უდიდებულესობის იმპერატორის და მეფის მიერ ამ სადღეგრძელოს წარმოთქმის შემდეგ ფლიგელ-ადიუტანტმა პოლკოვნიკმა ნეპოკოიჩიცკიმ უპასუხა: ,,გარწმუნებთ თქვენო აღმატებულესობავ! რომ სავსებით გარდავსცემ ჩემს ხელმწიფეს მოწყალე სიტყვებს თქვენი აღმატებულესობისას. ეხლა-კი შევძახებ: გაუმარჯოს მისს უდიდებულესობას იმპერატორს ვილჰელმს ,,hoch!'' ,,hoch!'' ,,hoch!''.

**ბერლინი.** 23 იანვარს იმპერატორი და იმპერატრიცა ფეხით წავიდნენ სასეიროდ ზოოლოგიურს ბაღში და ინახულეს რუსეთის მხატვარის ვერეშჩაგინის სურათების გამოფენა.

**ბუდაპეშტი.** დეპუტატთა პალატა როერესაც კოშუტმა ლაპარაკი ჩამოაგდო გრაფ მურავიევის მოგზაურობის შესახებ, ბანფიმ უპასუხა, რომ გარეშე საქმეების გამო ლაპარაკის და ბჭობის უფლებას პარლამენტს არავინ არ ეცილება, მაგრამ არა მგონია, რომ პალატის წევრთ შესაძლებლად დაინახონ ჩემთვის პასუხი გავცე კოშუტს, ანუ სჯა და ბაასი დავიწყო კოშუტის აზრთა შესახებ. არსად არ არის ჩვეულებად მიღებული, რომ პარლამენტმა თავისის სჯა-ბაასის საგნად გაჰხადოს ჯერ არ დამთავრებული სადიპლომატო მოქმედება და ამიტომ იძულებული ვარ განვაცხადო, რომ კოშუტის მიერ განსასჯელად წინ წამოყენებული საგნები ნაადრეულად არის აღძრულიო.

**ლონდონი.** ინგლისის ბანკმა შეამცირა დისკონტი $3^1/_2$-დგან $3^0/_0$-მდე.

**კონსტანტინოპოლი.** მსოფლიო კრების შვიდი წევრი შეიკრიბა ერთად საპატრიარქო შენობის გარეშე და გამოუცხადოს, რომ პატრიარქის უკანასკნელი ეპისტოლე სარწმუნოების წინააღმდეგიაო. სინოდის ერთი დასი თხოულობს, რომ პატრიარქმა თავი დაანებოს ჰერაკლიის და ანხიალოს ეპისკოპოსთა შესახებ მოქმედებას, ვითარცა უკანონოს; მეორე დასი თხოულობს, რომ პატრიარქმა თავისს თანამდებობას თავი დაანებოს, მაგრამ ჯერ არა არის-რა გადაწყვეტილი. პატრიარქი ამ საქმის გამო დაბარებული იყო ილდიზ-კიოსკში. ოსმალეთი თავისის მხრივ სცდილობს მშვიდობიანობა ჩამოაგდოს, რადგანაც ამ ჟამად ახალს არჩევანებს დრო ხელს არ უწყობს.

**სოფია.** ბოლგარიის მთავრობამ მიჰმართა ნოტით ბელგიის მთავარ კონსულს. ნოტაში ნაჩვენებია: იტალიიდგან მოვიდა წერილი ნაჩევიჩისა, რომელიც სთხოვს მთავარ კონსულს მფარველობა გაუწიოს ნიშკოვს და შეძლება მისცეს სოფიაში მოსვლისა, რათა მოწმედ წარსდგეს სტამბულოვის მოკვლის საქმის გარჩევის დროს. ამასთანავე სთხოვს იშუამდგომლეთ ბელგიის მთავრობის წინაშე, რომ მფარველობა გაუწიოს ნიშკოვს და წინადადება მისცეს ჩამოვიდეს იგი სოფიაში, რათა გამოამჟღავნოს რაც სტამბულოვის სიკვდილს შეეხება და რაც ვითომც იმან იცის.

## საკალენდარო ცნობები

იანვარი

25 შ ა ბ ა თ ი. წმ. შორის მამისა ჩვენისა გრიგორ კონსტანტინეპოლელ მთავარ-ეპისკოპოსისა და ღვთის-მეტყველისა.
კ ა თ ო ლ. მოქრისტიანება წმ. პავლე მოციქულისა.
ს ო მ ე ხ. წმ. ვაჰან გოლთნელისა.

Дозволено цензурою, Тифлисъ 24-го Января 1897 г.
სტამბა შარაძისა და ამხანაგობისა.
რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.